ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №385904

ნომერი: AR185397

თარიღი : 09.10.2012

გაცემის თარიღი : 11.10.2012

გაცნობის თარიღი : 15.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ, (ნაკვეთი 009/001-ის მიმდ.) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ცქიმანაური პ/ნ 01015005473
- თბილისი კრწანისის ქ. N 16 კორ. 7 ბ. 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობის მშენებლობის, მასზე საჩრდილობლისა და მიმდებარე ღობეზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ/ქ. თბილისი, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ (ნაკვეთი #009/001–ის მიმდ.), შ.პ.ს. "ვალეო 2011"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #009/026), კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობის მშენებლობას, მასზე საჩრდილობლისა და მიმდებარე ღობეზე სარეკლამო აბრის მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882012465494 08.08.12წ. საკადასტრო კოდი #01.13.02.009.026; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ/ქ. თბილისი, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ (ნაკვეთი #009/001–ის მიმდ.), შ.პ.ს. "ვალეო 2011"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #009/026), კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობის მშენებლობის, მასზე საჩრდილობლისა და მიმდებარე ღობეზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

სარეკლამო აბრა განთავსდეს საკადასტრო საზღვრების ფარგლებში.

ამასთან, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.

• სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.

• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge